



**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2011

წლის 19 დეკემბერს (ოქმი № 16)

რექტორი: პროფესორი გიორგი მარგველაშვილი

დრამის ფაკულტეტი

**მაგისტრატურის აკადემიური საფეხური
საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი**

2012

<p>პროგრამის სახელწოდება</p>	<p align="center">საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)</p> <p align="center">სამაგისტრო პროგრამა კონცენტრაციებით:</p> <p>1. დრამის რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; 2. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; 3. დრამატურგის ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; 4. მეტყველების კულტურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; 5. ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი; 6. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;</p>
<p>პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური</p>	<p>მაგისტრატურის აკადემიური საფეხური</p>
<p>პროგრამის ტიპი</p>	<p>აკადემიური , ძირითადი</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>შესაბამისი დარგის ხელოვნების მაგისტრი</p>
<p>სწავლის ხანგრძლივობა</p>	<p>ოთხი სემესტრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა / ECTS კრედიტი</p>	<p>120 კრედიტი</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>ქართული</p>
<p>მიღების წინაპირობა</p>	<p>კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი კვალიფიკაციით (საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამისი სპეციალობა). სასურველია მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, შემოქმედებითი ალღო, მხატვრული აზროვნება და ინტელექტი. ამასთან, ძირითადი მოდულის სრული ათვისებისათვის აუცილებელია საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების კურსებით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების შესაბამის დარგში, რაც გაუადვილებს მაგისტრანტებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თავსებადობას. აუცილებელია უცხო ენის ცოდნა (მინიმუმ 2 დონე).</p>
<p>სწავლების მეთოდოლოგია</p>	<p>საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდოლოგია:</p> <p>მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი A</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. 2. წიგნზე მუშაობის მეთოდი. 3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის

დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

4. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი – ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.

5. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: შემოქმედებითი, სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

მეთოდთა კლასიფიკაციის ვარიანტი B

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

4. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე ვიდრე ყველა მათგანი არ დაუფლდება საკითხს.

5. **ვერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძველიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, მედიცინის სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული, ვთქვათ ყარაბახის (სომხეთ-აზერბაიჯანის) კონფლიქტის ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი

შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის

	<p>შედგენას.ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.</p> <p>11. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.</p> <p>12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.</p> <p>13. ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. • ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. • მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.
<p>სამაგისტრო პროგრამისზოგადი დახასიათება</p>	<p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს როგორც შემოქმედებითი პროფილის სხვადასხვა დარგს (თეატრალური ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება), აგრეთვე შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებულ ანალიტიკურ მუშაობას.</p> <p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგების გაღრმავებული სწავლება შემოქმედებით პრაქტიკაზე ორიენტირებული ანალიზით, სადაც სინთეზირებულია თეორიული, შემოქმედებითი და ანალიტიკური ასპექტები. ეს პროგრამა თეორიული ანალიზისა და შემოქმედებით-პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზს წარმოადგენს. იგი, ასევე, შეიცავს შემოქმედებითი პედაგოგიკის კურსს, რაც მაგისტრანტს სძენს შესაბამისი სპეციალობის მასწავლებლის კომპეტენციებსაც.</p> <p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ ანალიზზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამაა, რომლის შემადგენელ კონცენტრაციათა შინაარსი და სტრუქტურა თეორიული ანალიზისა და შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზირებას ახდენს. მაგისტრანტი წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქციას და, ამასთან, ამ პროდუქციასთან დაკავშირებულ საკითხთა გარკვეულ ანალიზს, აგრეთვე, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და ექსკლუზიურად სახასიათოა, ხელოვნების დარგების სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხთა</p>

ანალიზსაც. კურსდამთავრებულს ენიჭება ხელოვნების (შესაბამისი დარგის მითითებით) მაგისტრის აკადემიური ხარისხი - Master of Art. მაგალითად, თეატრალური ხელოვნების მაგისტრი.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- სასწავლო-ანალიტიკური კომპონენტი (საშუალოდ 70 კრედიტი) - ეს კომპონენტი გულისხმობს საშემსრულებლო, შემოქმედებითი თუ თეორიულ-ანალიტიკური ცოდნის გაღრმავებასა და პედაგოგიური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსების ათვისებას, ასევე საჩვენებელი ლექციის პრეზენტაციას.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

- ა. თეატრალური ხელოვნება:
 1. დრამის რეჟისურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
 2. მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
 3. დრამატურგის ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
 4. მეტყველების კულტურა – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
- ბ. ქორეოგრაფიული ხელოვნება:
 5. ქართული ცეკვა და სადადგმო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;
- გ. სამუსიკო ხელოვნება:
 6. ქართული ხალხური სასიმღერო და სამგალობლო ხელოვნება – თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი;

“საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)” სამაგისტრო პროგრამის თითოეული პროგრამული კონცენტრაცია შეიცავს დარგის მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების სწავლებისა და ანალიზის ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი პროგრამული კონცენტრაციისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული პროგრამული კონცენტრაციის ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.

პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი/ დესკრიპტორი

ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ხელოვნების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- გ) დასკვნის უნარი – შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის

	<p>საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი – შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;</p> <p>ე) სწავლის უნარი – შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;</p> <p>ვ) ღირებულებები – შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>
<p><i>სწავლის შედეგები / კურსდამთავრებულის კომპეტენცია</i></p>	<p>ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციები:</p> <p>ა. აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი</p> <p>ბ. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>ც. დროის დაგეგმვისა და მართვის უნარი</p> <p>დ. დარგის ცოდნა-გააზრება და გათავისება</p> <p>ე. მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი</p> <p>ფ. მეორე (უცხო) ენაზე კომუნიკაციის უნარი</p> <p>გ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ვირტუალური და აუდიო-ვიზუალური) გამოყენების უნარი</p> <p>ჰ. სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი</p> <p>ი. ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი</p> <p>ჯ. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი</p> <p>კ. კრიტიკული აზროვნების და თვითკრიტიკის უნარი</p> <p>ლ. უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი</p> <p>მ. ახალი იდეების გენერირების უნარი</p> <p>ნ. პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი</p> <p>ო. დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი</p> <p>პ. ჯგუფში მუშაობის უნარი</p> <p>ჟ. ადამიანებს შორის ურთიერთობისა და დიალოგის უნარი</p> <p>რ. ადამიანის მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი</p> <p>ს. არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი</p> <p>ტ. საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი</p> <p>უ. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი</p> <p>ვ. პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი</p> <p>წ. უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება</p> <p>ხ. საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი</p> <p>ყ. ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი</p> <p>ზ. შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი</p> <p>თ. ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი</p>
<p><i>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</i></p>	<p>სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება ორი სტანდარტით:</p> <p>დადებითი შეფასებები:</p> <p>A ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>B ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p>

	<p>C კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>D დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>E საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფით შეფასებები:</p> <p>FX ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>F ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე - PHD სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია დრამის რეჟისურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელები	გიორგი მარგველაშვილი, პროფესორი გიორგი ცქიტიშვილი, პროფესორი
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამის მოცულობა / ECTS კრედიტი	120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური შესაბამისი სპეციალობით – თეატრის რეჟისურის ან სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით. დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ხელოვნების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაღალი აკადემიური მაჩვენებელი, შემოქმედებითი ალლო, მხატვრული აზროვნება, ინტელექტი. ზოგადი სახელოვნებო-ჰუმანიტარული განათლება და, სამსაფეხურიანი სწავლების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პროგრამის კურსით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა გაუადვილებს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური</p>

	<p>ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელ ორგანიზატორულ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს.</p> <p>პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სასურველია, თუმცა, სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე B2 დონეზე.</p> <p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-სამემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.</p>
<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>პროგრამის მიზანია:</p> <p>მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა. თეატრალური ხელოვნების სფეროში ისეთი დამდგმელი რეჟისორის, რომელიც მეტად მგრძნობიარედ რეაგირებს მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა თუ მიმდინარე პროცესებზე, შესწევს უნარი საკუთარი სათქმელი მკაფიოდ, მაყურებლისთვის გასაგებად გამოხატოს სპექტაკლის კონცეპტუალურ გადაწყვეტა-გააზრებაში. გარდა ამისა, დღევანდელი დამდგმელი რეჟისორი ფართოდ ერუდირებული უნდა იყოს.</p> <p>მან უნდა შეძლოს ახალი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური ხელწერით აღბეჭდილი მხატვრული ნაწარმოების (სპექტაკლი) შექმნა, რომელშიც გამოჩნდება სცენური სახეებით აზროვნების უნარი. მომავალი რეჟისორი შეძლებს ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული, ორგანული თანხმიერების მიღწევას. მას შეეძლება ამა თუ იმ ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი და სხვა) ორიგინალური ინტერპრეტაციის შემოთავაზება.</p> <p>სწორედ ამ ტიპის სპეციალისტის, ჭეშმარიტი პროფესიონალის აღზრდაა წინამდებარე პროგრამის მიზანი.</p> <p>ბაკალავრიატის – აკადემიური სწავლების თანამედროვე სისტემის პირველ საფეხურზე მიღებული საბაზო განათლების შემდეგ, მეორე – მაგისტრატურის – ეტაპი გულისხმობს მიღებული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და ინტერესთა კონკრეტიკას, ზუსტი და სწორი მიმართულებების განსაზღვრას მათ შორის, თეატრალური ხელოვნების სფეროში და შემოქმედებითი პროცესის შედეგად მიღებული პროექტის (სპექტაკლი, სანახაობა, პერფორმანსი და სხვ.) დისტრიბუციასა და რეალიზაციაში – შესაბამისი ფინანსური ეფექტურობითა და უკუგებით (რისი გამყარება და სრულყოფა სწორედ მაგისტრატურის დონეზე ხდება).</p> <p>ამასთან, სახელოვნებო უმაღლესი განათლებისთვის მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ სამაგისტრო საფეხური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნით. შესაბამისად, მაგისტრატურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ეძლევა მაგისტრს შესაბამის დარგში სწავლების უფლება.</p> <p>რაც ყველაზე მთავარია, მაგისტრანტი პრაქტიკულ სამუშაოსთან ერთად, დაკავებული იქნება თეორიულ-ანალიტიკური კვლევით.</p>
<p>პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი დესკრიპტორი</p>	<p>დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:</p> <p>2. დარგის ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>3. მაგისტრი აღჭურვილია თეატრალური ხელოვნების დამდგმელი რეჟისორის პროფესიისთვის აუცილებელი სიღრმისეული თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, თეატრალურ სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს</p>

დრამის რეჟისურისთვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის სათეატრო რეჟისურის თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა; მას აქვს **შესასწავლი**

4. დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეტიკის ცოდნა. მაგისტრს გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ის სრულად ფლობს პროფესიულ სპეციფიკურ მეთოდებს.

5. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან დრამის რეჟისურაში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს პრაქტიკოს დამდგმელ რეჟისორად, პედაგოგად ან თეატრის მენეჯერად; როგორც დამდგმელმა რეჟისორმა და ლიდერმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, სპექტაკლის შექმნისა და წარმოების პროცესს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე პოსტპროდუქციის ეტაპზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად. ასევე, აქვს უნარი გარკვეული მიზნის დასახვისა და მის მისაღწევად სამოქმედო გეგმის შექმნა-განხორციელებისა. იგი მოქმედებს დამოუკიდებლად, ასრულებს რა სათანადო სამუშაოს პროფესიულ დონეზე. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის რანგში.

6. არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში სპექტაკლზე მუშაობის დროს შეძენილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება; მან იცის შემოქმედებითი ჯგუფთან, მსახიობებთან ურთიერთობა; ექსპლიკაციის შექმნა, პროექტის შედგენა და მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის სპექტაკლის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; სცენოგრაფია, დეკორაცია, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფთან მუშაობა და სხვა, ანალოგიური პრინციპები; ხელეწიფება დამოუკიდებლად გაიაზროს და გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა. გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

7. კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არა მხოლოდ შემოქმედებითი ჯგუფებთან თუ სპექტაკლზე მუშაობის პროცესში შემოქმედებითად დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამომუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ დამდგმელი რეჟისორის სპეციალობაში, არამედ თეატრის თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, მშობლიურ ენაზე, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია სხვასთან საერთო ენის გამონახვა და თავისი მოსაზრებისა თუ შეხედულების მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

აქვს უცხო ენის ცოდნა (სულ მცირე – B2 დონე):

კომუნიკაცია – იგებს ვრცელ ტექსტს, იაზრებს მასში გადმოცემულ ინფორმაციას. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი. თავისუფლად შეუძლია სოციალურ, აკადემიურ, პროფესიულ თემებზე საუბარი.

კითხვა – იგებს ვრცელ, კომპლექსურ ტექსტს, მისი ყოველი დეტალის ჩათვლით. უკეთ გასაგებად, შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილის ხელმეორედ წაკითხვა.

წერა – შეუძლია კომპლექსურ თემაზე ტექსტის დაწერა (იქნება ეს წერილი თუ სხვა).

საფუძვლიანად ფლობს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს: თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება. ამა თუ იმ მიმართულებით შეუძლია დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება; ღრმად, საფუძვლიანად გაიაზროს მის წინაშე არსებული პრობლემა და დასახოს მისი დაძლევა-გადალახვის ქმედით ღონისძიებათა გეგმა. აქვს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სათანადო სამუშაოს. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები საკუთარი სწავლისა და პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარებისათვის.

აქვს სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. იყენებს სასწავლო რესურსის სრულ სპექტრს; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახორციელებს თეორიულ ანალიზს; შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება, მართვა; მუშაობის დროს არის დამოუკიდებელი. იჩენს ინიციატივას, პირად პასუხისმგებლობას შემოქმედებით პროფესიულ პრაქტიკაში. ხელეწიფება სწავლასა და საქმიანობაში ლიდერის მისიის შესრულება.

ღირებულებები

აქვს არსებულ მძფრ კონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. შემოქმედებით ჯგუფში, როგორც რიგითი წევრი ან ლიდერი ეფექტურად მუშაობს. ახერხებს ამოცანების მკაფიო ფორმულირებას. ასევე, ჯგუფის წევრთა შესაძლებლობათა ადეკვატურ გამოყენებას. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება-დარეგულირება.

**სწავლის შედეგები /
კურსდამთავრებულის
კომპეტენცია**

დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები

- ლიტერატურული ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი) ორიგინალური, თვითმყოფადი გააზრება-ინტერპრეტაციისა და მისი შესაბამისი სცენური ადაპტაციის უნარი.
- სპექტაკლის შემადგენელი ყველა კომპონენტის (დრამატურგია, სარეჟისორო და სამსახიობო ხელოვნება, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფია, სასცენო მოძრაობა, მხატვრული განათება და სხვა) ორგანული ურთიერთშერწყმისა და თითოეული მათგანისათვის სათანადო, აუცილებელი აზრობრივი თუ მხატვრული დატვირთვის, ფუნქციის მინიჭების ცოდნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთი საერთო მიზნისა თუ ჩანაფიქრისათვის დამორჩილება-დაქვემდებარების უნარი.
- გამართული, მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კონცეპტუალური აზროვნების უნარი.
- დრამატურგთან, მსახიობთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, გამნათებელთან თუ ხმის რეჟისორთან გამართულად მუშაობის ცოდნა.
- სპექტაკლის შექმნის საწარმო-ტექნოლოგიური პროცესის სიღრმისეული ცოდნა.
- მიმდინარე სათეატრო პროცესებისა და ძიებების გააზრების უნარი.
- სათეატრო წარმოდგენის მხატვრული, იდეური მთლიანობის შექმნა-შეთხზვის ცოდნა.
- რეჟისორის პროფესიის ყოველი ასპექტისა თუ მეთოდის, ხერხის

	<p>სიდრმისეული ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> • შექმნილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ასპექტში გამოყენების უნარი. • საკუთარი თუ სხვისი ქმნილების ანალიზის, შეფასების უნარი. • თავისი თეორიული, პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების სტუდენტებისათვის გადაცემის უნარი. როგორც პედაგოგი შეძლებს მომავალ მსახიობებთან და რეჟისორებთან მუშაობას, სრული ან ასოცირებული პროფესორის ასისტენტობას. • შემოქმედებით-პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესის გააზრებული დაგეგმვის, სავარაუდო შედეგის პროგნოზირების უნარი. • ანალიტიკური აზროვნების უნარი. • შემოქმედებით ჯგუფთან ნაყოფიერი, პროდუქტიული, შედეგზე ორიენტირებული მუშაობის უნარი. • სპექტაკლის, როგორც სინთეზური ხელოვნების ნაწარმოების შექმნა-შეთხზვის უნარი. • პროფესიასთან დაკავშირებული შემოქმედებითი, საწარმო-ტექნოლოგიური პროცესების სიდრმისეული ცოდნა. • მიმდინარე სათეატრო პროცესებისა და ძიებების გააზრების უნარი. • საკუთარი თუ სხვისი ქმნილების ანალიზის, შეფასების უნარი. • შექმნილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ასპექტში გამოყენების უნარი. • პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი. • აკადემიური პერსონალის ასისტენტობის უნარი. • აქვს სათანადო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც უმაღლესი აკადემიური სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად საჭირო
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>სწავლის დასრულების შემდეგ, ”დრამის რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)” პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა თეატრალური ხელოვნების რეჟისურის ნებისმიერ დარგში (დრამის, მუსიკალური, პანტომიმის, თოჯინური, მარიონეტების). მათ შორის: დრამატული თეატრის რეჟისურის, მუსიკალური თეატრის რეჟისურის, პანტომიმის თეატრის რეჟისურის, თოჯინების თუ მარიონეტების თეატრის რეჟისურის, თეატრალური მენეჯერის მიმართულებით. ამასთან, მაგისტრს შეუძლია სასწავლო პროცესის წარმართვა შესაბამისი პროფილით საბაკალავრო აკადემიურ საფეხურზე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.</p> <p>მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ექსპერტ – ანალიტიკოსად სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს თეატრის სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს სახელოვნებო მენეჯმენტისა და თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების სფეროებში.</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p>

პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელები	პროფესორი ალექსანდრე ქანთარია
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამის მოცულობა / ECTS კრედიტი	120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური შესაბამისი სპეციალობით – თეატრის მსახიობის, ან თეატრის რეჟისურის მიმართულებით. დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს თეატრალური ხელოვნების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაღალი აკადემიური მაჩვენებელი, შემოქმედებითი უნარები და აღღო, მხატვრული აზროვნება, ინტელექტი. ზოგადი სახელოვნებო-ჰუმანიტარული განათლება და სამსაფეხურიანი სწავლების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პროგრამის კურსით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა გაუადვილებს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელ საშემსრულებლო - შემოქმედებით ნიჭსა და თვისებებს, საკითხის შემოქმედებითი ხედვისა და ინტერპრეტაციის უნარს. პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სასურველია, თუმცა, სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე B2 დონეზე.
პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია: მაღალკვალიფიციური სპეციალისტის აღზრდა, რომელსაც

კარგად ესმის, თუ რა აწუხებს საზოგადოებას და სწორედ ამ სატკივარზე ესაუბრება თავისი შემოქმედებით. ამასთან, მას შესწევს უნარი საკუთარი სათქმელი მკაფიოდ, მაყურებლისთვის გასაგებად გამოხატოს როლის/მხატვრული სახის კონცეპტუალურ გადაწყვეტა-გააზრებაში. გარდა ამისა, დღევანდელი არტისტი ფართოდ ერუდირებული, ინფორმირებული უნდა იყოს. მან უნდა შეძლოს ახალი, ინდივიდუალური ხელწერით აღბეჭდილი მხატვრული სახეების (როლი) შექმნა, სადაც გამოხინდება სცენური სახეებით აზროვნების უნარი. მომავალი მაგისტრი შეძლებს ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული, ორგანული თანხმიერების მიღწევას. მას შეეძლება ამა თუ იმ ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი და სხვა) პერსონაჟების ორიგინალური ინტერპრეტაციის შემოთავაზება.

ბაკალავრიატის – აკადემიური სწავლების თანამედროვე სისტემის პირველ საფეხურზე მიღებული საბაზო განათლების შემდეგ, მეორე – მაგისტრატურის – ეტაპი გულისხმობს მიღებული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და ინტერესთა კონკრეტიკას. ზუსტი და სწორი მიმართულებების განსაზღვრას მათ შორის, თეატრალური ხელოვნების სფეროში და შემოქმედებითი პროცესის შედეგად მიღებული პროექტის (სპექტაკლი, სანახაობა, პერფორმანსი და სხვ.) დისტრიბუციას.

პროგრამის კვალიფიკაციათა აღმწერი დესკრიპტორი

დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი აღჭურვილია თეატრალური ხელოვნების, კერძოდ – მსახიობის, არტისტის პროფესიისთვის აუცილებელი სიღრმისეული თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, თეატრალურ სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს მსახიობის ხელოვნებისათვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის სათეატრო ხელოვნების თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა; მას აქვს **შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა.** მაგისტრს გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ის სრულად ფლობს პროფესიულ სპეციფიკურ მეთოდებს.

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან მსახიობის ოსტატობაში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს პრაქტიკოს არტისტად, პედაგოგად ან თეატრის მენეჯერად; როგორც პროფესიონალმა მსახიობმა და პედაგოგმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, როლის/მხატვრული სახის შექმნისა და წარმოების პროცესს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე პოსტპროდუქციის ეტაპზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად. ასევე, აქვს უნარი გარკვეული მიზნის დასახვისა და მის მისაღწევად სამოქმედო გეგმის შექმნა-განხორციელებისა. იგი მოქმედებს დამოუკიდებლად, ასრულებს რა სათანადო სამუშაოს პროფესიულ დონეზე. ფლობს დარგისათვის სპეციფიურ

მეთოდებს ექსპერტის რანგში.

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში როლზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება; მან იცის შემოქმედებით ჯგუფთან, რეჟისორთან, კოლეგა მსახიობებთან ურთიერთობა; ექსპლიკაციის შექმნა, პროექტის შედგენა და მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის მხატვრული სახის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარე; სცენოგრაფია, დეკორაცია, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფთან მუშაობა და სხვა, ანალოგიური პრინციპები; ხელეწიფება დამოუკიდებლად გაიაზროს და გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა. გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არა მხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ როლზე მუშაობის პროცესში შემოქმედებითად დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამომუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ პროფესიონალი არტისტის სპეციალობაში, არამედ თეატრის თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, მშობლიურ ენაზე, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია სხვასთან საერთო ენის გამონახვა და თავისი მოსაზრებისა თუ შეხედულების მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

აქვს უცხო ენის ცოდნა (სულ მცირე – B2 დონე):

კომუნიკაცია – იგებს ვრცელ ტექსტს, იაზრებს მასში გადმოცემულ ინფორმაციას. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი. თავისუფლად შეუძლია სოციალურ, აკადემიურ, პროფესიულ თემებზე საუბარი.

კითხვა – იგებს ვრცელ, კომპლექსურ ტექსტს, მისი ყოველი დეტალის ჩათვლით. უკეთ გასაგებად, შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილის ხელმეორედ წაკითხვა.

წერა – შეუძლია კომპლექსურ თემაზე ტექსტის დაწერა (იქნება ეს წერილი თუ სხვა).

საფუძვლიანად ფლობს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს: თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლის უნარი

მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება. ამა თუ იმ მიმართულებით შეუძლია დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება; ღრმად, საფუძვლიანად გაიაზროს მის წინაშე

	<p>არსებული პრობლემა და დასახოს მისი დაძლევა-გადალახვის ქმედით ღონისძიებათა გეგმა. აქვს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სათანადო სამუშაოს. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები საკუთარი სწავლისა და პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარებისათვის.</p> <p>აქვს სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. იყენებს სასწავლო რესურსის სრულ სპექტრს; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახორციელებს თეორიულ ანალიზს; შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება, მართვა; მუშაობის დროს არის დამოუკიდებელი. იჩენს ინიციატივას, პირად პასუხისმგებლობას შემოქმედებით პროფესიულ პრაქტიკაში. ხელეწიფება სწავლასა და საქმიანობაში ლიდერის მისიის შესრულება.</p> <p>ღირებულებები</p> <p>აქვს არსებულ მძფრ კონკურენტულ გარემოში პარტნიორებისა და კონკურენტების დაპატენტებული იდეისა და შემოქმედებითი პროექტის პროფესიული პატივისცემა. შეუძლია აღნიშნული შემოქმედებითი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების პროფესიული შეფასება და ახალი შემოქმედებითი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. შემოქმედებით ჯგუფში, როგორც რიგითი წევრი ან ლიდერი ეფექტურად მუშაობს. ახერხებს ამოცანების მკაფიო ფორმულირებას. ასევე, ჯგუფის წევრთა შესაძლებლობათა ადეკვატურ გამოყენებას. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება-დარეგულირება.</p>
<p>სწავლის შედეგები / კურსდამთავრებული ს კომპეტენცია</p>	<p>დარგობრივი/ პროფესიული კომპეტენციები</p> <ul style="list-style-type: none"> • ლიტერატურული ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი) ორიგინალური, თვითმყოფადი გააზრება-ინტერპრეტაციისა და მისი შესაბამისი სცენური ადაპტაციის უნარი. • სპექტაკლის შემადგენელი ყველა კომპონენტის (დრამატურგია, სარეჟისორო და სამსახიობო ხელოვნება, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფია, სასცენო მოძრაობა, მხატვრული განათება და სხვა) ორგანული ურთიერთშერწყმისა და თითოეული მათგანის სათანადო, აუცილებელი აზრობრივი თუ მხატვრული დატვირთვის, ფუნქციის გააზრებული ცოდნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის ერთი საერთო მიზნისა თუ ჩანაფიქრისათვის დამორჩილება-დაქვემდებარების უნარი. • გამართული, მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული კონცეპტუალური აზროვნების უნარი. • დრამატურგთან, რეჟისორთან, მსახიობებთან, მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, გამნათებელთან თუ ხმის რეჟისორთან გამართულად მუშაობის ცოდნა. • მხატვრული სახის/როლის შექმნის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის სიღრმისეული ცოდნა. • მიმდინარე სათეატრო პროცესებისა და ძიებების გააზრების უნარი. • სათეატრო წარმოდგენის მხატვრული, იდეური მთლიანობის

	<p>შექმნა-შეთხზვის ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> • მსახიობის პროფესიის ყოველი ასპექტისა თუ მეთოდის, ხერხის სიღრმისეული ცოდნა. • შექნილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ასპექტში გამოყენების უნარი. • საკუთარი თუ სხვისი ქმნილების ანალიზის, შეფასების უნარი. • თავისი თეორიული, პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების სტუდენტებისათვის გადაცემის უნარი. როგორც პედაგოგი შეძლებს მომავალ მსახიობებთან და რეჟისორებთან მუშაობას, სრული ან ასოცირებული პროფესორის ასისტენტობას. • შემოქმედებით-პედაგოგიური მოღვაწეობის პროცესის გააზრებული დაგეგმვის, სავარაუდო შედეგის პროგნოზირების უნარი. • ხატვრული და ანალიტიკური აზროვნების უნარი. • შემოქმედებით ჯგუფთან ნაყოფიერი, პროდუქტიული, შედეგზე ორიენტირებული მუშაობის უნარი. • როლის, როგორც სინთეზური ხელოვნების ნაწარმოების შექმნა-შეთხზვის უნარი. • პროფესიასთან დაკავშირებული შემოქმედებითი, საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესების სიღრმისეული ცოდნა. • მიმდინარე სათეატრო პროცესებისა და ძიებების გააზრების უნარი. • საკუთარი თუ სხვისი ქმნილების ანალიზის, შეფასების უნარი. • შექნილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ასპექტში გამოყენების უნარი. • პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი. • აკადემიური პერსონალის ასისტენტირების უნარი. • აქვს სათანადო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, აუცილებელი უნარ-ჩვევები, რაც უმაღლესი აკადემიური სწავლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად საჭირო.
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>სწავლის დასრულების შემდეგ, ”მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)” პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობა თეატრალური საშემსრულებლო ხელოვნების – მსახიობის/არტისტის ამპლუით - ნებისმიერ დარგში (დრამის, მუსიკალური, პანტომიმის, თოჯინური, მარიონეტების თეატრები). მათ შორის: დრამატული თეატრის მსახიობის, მუსიკალური თეატრის მსახიობის, პანტომიმის თეატრის მსახიობის, თოჯინების თუ მარიონეტების თეატრის მსახიობის, თეატრალური მენეჯერის მიმართულებით. ამასთან, მაგისტრს შეუძლია სასწავლო პროცესის წარმართვა შესაბამისი პროფილით საბაკალავრო აკადემიურ საფეხურზე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.</p> <p>მაგისტრს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ექსპერტ –</p>

	ანალიტიკოსად სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; იმუშაოს პედაგოგად სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში; სხვადასხვა შესატყვის უწყებაში მონაწილეობა მიიღოს თეატრის სამხატვრო და სარეპერტუარო პოლიტიკის განსაზღვრის, დაგეგმვის საქმეში; აწარმოოს მოლაპარაკებები და ორგანიზება გაუკეთოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბებას; იმუშაოს სახელოვნებო მენეჯმენტისა და თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების სფეროებში.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო – შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	სამაგისტრო პროგრამა (კონცენტრაცია)
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელები	მწერალი, დრამატურგი ირაკლი სამსონაძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი გიორგი ცქიტიშვილი
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამის მოცულობა / ECTS კრედიტი	120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მომავალ მაგისტრს გავლილი უნდა ჰქონდეს უმაღლესი სწავლების პირველი – საბაკალავრო საფეხური, სასურველია – თეატრის რეჟისურის, სამსახიობო ან თეატრმცოდნეობის მიმართულებით. დაზუსტებით: კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს ხელოვნების ბაკალავრის (შესაძლებელია ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის) ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაღალი აკადემიური მაჩვენებელი, შემოქმედებითი ადლო, მხატვრული აზროვნება, ინტელექტი. სახელოვნებო-ჰუმანიტარული განათლება, ასევე, სამსაფეხურიანი სწავლების პირველი ეტაპისათვის აუცილებელი პროგრამის კურსით გათვალისწინებული საბაზისო ცოდნა გაუადვილებს მაგისტრანტს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან

	<p>შესაბამისობას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე შეირჩევიან აბიტურიენტები ბაკალავრის (ან მეტი) აკადემიური ხარისხით, გამოკვეთილი მიდრეკილებით მხატვრული აზროვნებისადმი, რომლებიც გამოავლენენ დრამატურგის პროფესიისათვის აუცილებელ ნიჭსა და თვისებებს, საკითხის ანალიტიკური ხედვის უნარს.</p> <p>პროგრამაში მისაღებად სამუშაო გამოცდილება სასურველია, თუმცა, სავალდებულო არ არის. მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას სულ მცირე B2 დონეზე.</p> <p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენადაც აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სახელოვნებო-საშემსრულებლო მიმართულებას განეკუთვნება - ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის.</p>
<p>პროგრამის მიზნები</p>	<p style="text-align: center;">პროგრამის მიზანი:</p> <p>თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარი გაამდიდროს ახალი, საინტერესო პიესებითა და რაც ყველაზე საშურია, ახალი დრამატურგთა სახეებით, რომელთა თვალთახედვა, შემოქმედებითი თავისთავადობა, მოვლენათა ჭვრეტის მასშტაბურობა, ლიტერატურული სახეებით აზროვნების უნარი, დიალოგის ტექნიკა, ტემპო-რიტმის შეგრძნება და თანადროულობის, მხოლოდ ამ შემოქმედისათვის დამახასიათებელი აღქმა, ქართველი მკითხველისა და მაყურებლის გარდა სხვასაც დააინტერესებს. ანუ, უფრო მარტივად, ისეთი პროფესიონალი დრამატურგის ჩამოყალიბება, ვისი კვალიფიკაცია და ოსტატობაც მრავალმხრივია საინტერესო და დროს გაუძლებს. თეატრალურ ხელოვნებაში სწორედ დრამატურგები იყვნენ ახალი თეატრალური მსოფლმხედველობისა თუ ფორმის პირველი გზამკვლევი.</p> <p>შესაბამისად, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სიახლის ძიებაა ახალგაზრდა მწერლებში, რომელიც, კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული. ამავე დროს, მომავალ დრამატურგებს უნდა გამოუმუშავდეთ მათთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები: რეჟისორთან ერთად ტექსტზე მუშაობა, მოთხრობისა თუ ნოველის ინსცენირება, თარგმანი, ტექსტის რედაქტირება და სხვა. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მან უნდა შეძლოს ახალი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური ხელწერით აღბეჭდილი მხატვრული ნაწარმოების (პიესა) შექმნა, რომელშიც გამოჩნდება სცენური სახეებით აზროვნების უნარი. მომავალი დრამატურგი შეძლებს ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული, ორგანული თანხმობის მიღწევას. მას შეეძლება როგორც ორიგინალური დრამატურგიული ნაწარმოების შექმნა, ასევე ამა თუ იმ ნაწარმოების (პიესა, მოთხრობა, ნოველა, რომანი და სხვა) ორიგინალური ინტერპრეტაციის შემოთავაზება. სწორედ ამ ტიპის სპეციალისტის, ჭეშმარიტი პროფესიონალის აღზრდაა წინამდებარე პროგრამის მიზანი, რომელიც შემოქმედებითი მუშაობის გარდა, შესძლებს რედაქცია-გამომცემლობასა თუ რომელიმე თეატრში მუშაობას ლიტნაწილად ან თეატრის დრამატურგად.</p>

**პროგრამის
კვალიფიკაციათა
აღმწერი
დესკრიპტორი**

დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

მაგისტრი აღჭურვილია თეატრალური ხელოვნების დრამატურგის პროფესიისთვის აუცილებელი სიღრმისეული თეორიული ცოდნით, რასაც იგი იყენებს, პირველ რიგში, თეატრალურ სივრცეში თუ ზოგადად კულტურაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისთვის და მათ გასაანალიზებლად; მას შეუძლია თავისუფლად აწარმოოს დრამატურგიისა და დრამის რეჟისურისთვის აუცილებელი ანალიზი თუ კვლევები; სრულყოფილად იცის სათეატრო დრამატურგიისა და რეჟისურის თეორიული თუ პრაქტიკულ-შემოქმედებითი საფუძვლები, ისტორია, მიმდინარეობები და შესაძლებლობა აქვს, სხვასაც გაუზიაროს თავისი ცოდნა; მას აქვს **შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა**. მაგისტრს გააჩნია დარგობრივი სფეროს უახლესი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. ის სრულად ფლობს პროფესიულ სპეციფიკურ მეთოდებს.

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

თეორიული საფუძველი და ოსტატთან დრამატურგიასა და დრამის რეჟისურაში მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და უნარ-ჩვევები მაგისტრს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებლად იმუშაოს პრაქტიკოს დრამატურგად, პედაგოგად ან თეატრის მენეჯერად; როგორც დრამატურგმა და ლიდერმა, იცის, რა პრინციპებით წარუძღვეს, პიესისა და სპექტაკლის შექმნისა და წარმოების პროცესს მის საწყის თუ ძირითად ეტაპებზე, ასევე პოსტპროდუქციის ეტაპზე და როგორ მოახდინოს საკუთარი შემოქმედებითი მონაცემების რეალიზება; შეუძლია კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად. ასევე, აქვს უნარი გარკვეული მიზნის დასახვისა და მის მისაღწევად სამოქმედო გეგმის შექმნა-განხორციელებისა. იგი მოქმედებს დამოუკიდებლად, ასრულებს რა სათანადო სამუშაოს პროფესიულ დონეზე. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის რანგში.

არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი

პრაქტიკულ-შემოქმედებითი გამოცდილება და სწავლის პროცესში პიესაზე მუშაობის დროს შექმნილი უნარები მაგისტრანტს საფუძველს უქმნის ადვილად და წარმატებით მოახერხოს შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება; მან იცის შემოქმედებით ჯგუფთან, დამდგმელ რეჟისორთან, მსახიობებთან ურთიერთობა; პიესის შექმნა, პროექტის შედგენა და მის განხორციელებაში ინვესტორის იოლად დარწმუნება; იცის პიესისა და სპექტაკლის შექმნის საწარმო-ტექნოლოგიური მხარე; სცენოგრაფია, დეკორაცია, მხატვრობა, მუსიკალური გაფორმება, ქორეოგრაფთან მუშაობა და სხვა, ანალოგიური პრინციპები; ხელეწიფება დამოუკიდებლად გაიაზროს და გააანალიზოს ესა თუ ის მოვლენა. გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრს აქვს არა მხოლოდ შემოქმედებით ჯგუფებთან თუ პიესაზე მუშაობის პროცესში შემოქმედებითად დაკავშირებულ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობების დამყარების უნარები, არამედ, გამოუმუშავებული აქვს პედაგოგიური უნარ-ჩვევები და ცოდნის სხვისთვის (ბაკალავრებისთვის, პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის ან სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფისთვის) გაზიარების შესაძლებლობები. მაგისტრს აქვს ცოდნა და გამოცდილება არა მხოლოდ დრამატურგის სპეციალობაში, არამედ თეატრის თეორიასა და ისტორიაში, მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებში. იცის და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, მშობლიურ ენაზე, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია სხვასთან საერთო ენის გამონახვა და თავისი მოსაზრებისა თუ შეხედულების მკაფიოდ, ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბება-დაფიქსირება.

აქვს უცხო ენის ცოდნა (სულ მცირე – B2 დონე):

კომუნიკაცია – იგებს ვრცელ ტექსტს, იაზრებს მასში გადმოცემულ ინფორმაციას. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი. თავისუფლად შეუძლია სოციალურ, აკადემიურ, პროფესიულ თემებზე საუბარი.

კითხვა – იგებს ვრცელ, კომპლექსურ ტექსტს, მისი ყოველი დეტალის ჩათვლით. უკეთ გასაგებად, შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილის ხელმეორედ წაკითხვა.

წერა – შეუძლია კომპლექსურ თემაზე ტექსტის დაწერა (იქნება ეს წერილი თუ სხვა).

საფუძვლიანად ფლობს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს: თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლის უნარი
მაგისტრს აქვს უნარი თავად დაგეგმოს და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი; შეუძლია პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება. ამა თუ იმ მიმართულებით შეუძლია დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება; ღრმად, საფუძვლიანად გაიაზროს მის წინაშე არსებული პრობლემა და დასახოს მისი დაძლევა-გადალახვის ქმედით ღონისძიებათა გეგმა. აქვს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. ჯგუფის დანარჩენი წევრების კომპეტენციისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სათანადო სამუშაოს. შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ღონისძიებები საკუთარი სწავლისა და პროფესიულ-შემოქმედებითი განვითარებისათვის.

აქვს სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. იყენებს სასწავლო რესურსის სრულ სპექტრს; უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახორციელებს თეორიულ ანალიზს; შეუძლია აკადემიური პროექტის შემუშავება, მართვა; მუშაობის დროს არის დამოუკიდებელი. იჩენს ინიციატივას, პირად პასუხისმგებლობას შემოქმედებით პროფესიულ პრაქტიკაში. ხელეწიფება სწავლასა და საქმიანობაში ლიდერის მისიის შესრულება.

ღირებულებები
